

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა
დაცვის საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი N 7

ქ. ზუგდიდი

10 მაისი 2019 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე

სხდომა დამთავრდა: 11:30 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე სანდრო სორდია;

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მიხეილ ჯობავა, არჩილ ბერანძე, ამირან ჩხოლარია, გოგიტა ზარქუა, ზვიად ყორშია;

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ანა წითლიძე, ზაზა პროკოპენკო (იმყოფებოდა შვებულებაში), ჯონი ჯიქია;

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დავით ჭანტურია.

იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სანდრო სორდიამ სხდომის წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი წარმოდგენილ დღის წესრიგს. კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს: სანდრო სორდიას ინფორმაცია ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვას:

სანდრო სორდიამ აღნიშნა შემდეგი: მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტი ჩვენს მიერ განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის 31-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით,

39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შესათანხმებლად გადაგზავნილიყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროში. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ განხილა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ფორმის ნიმუში და გვაცნობა, რომ მის ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნით.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა ხომ არ აქვთ განსხვავებული აზრი, შენიშვნა ან წინადადება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა კენჭი ეყაროს წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე: 6 (ერთხმად)


წინააღმდეგი : (არცერთი)

გადაწყვიტეს:

აღნიშნული საკითხი მიჩნეულ იქნეს განხილვისათვის მომზადებულად და დადებით დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა
დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:



სანდრო სორდია